F 826 / 7254
ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 11 (16)

5 IV 1991

## ქრისტე აღდგა!

მარიამ იაკობისა,
მარიამ მაგდალინელი
და მასთან ერთად სალომე,
ქრისტეს საფლავის მძებნელი

მოსულან ნელსაცხებლითა,
რათა სცხონ გვამსა დიდებულს,
მაგრამ შემკრთალან, რომ
ხედვენ
დიდ ლოდსა გადაგორებულს.

მკვდარი არსად სჩანს!...
და მარჯვნივ
ჭაბუკი ვინმე მდგომარე,





სპეტაკი შესამოსლითა,
ნათლითა მოსხივცისკარე,

მათ ეუბნება: „რად შეკრთით?
ანგელოზი ვარ მე მცველი.
აწ გიხაროდენ: ზე აღგა
იესო ნაზარეველი!“

მენელსაცხებლეთ აევსოთ
სიხარულითა მყის გული
და მიახარეს ქვეყანას:
„აღდგაო მკვდრეთით
ჯვარცმული!

აღდგა, ვინც სისხლი დაჰთხია
ახალი რჯულის დვრიტადო!“
ცა და ქვეყანაც პასუხად
იძახის: „ჭეშმარიტადო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო მეექვსე თვეს მოვლინებულ იქნა გაბრიელ ანგელოზი ღმერთის მიერ გალილეის ქალაქში, რომელსაც ეწოდება ნაზარეთი,

ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, და სახელი მისი – იოსები, დავითის მოდგმისა, ხოლო სახელი ქალწულისა – მარიამი.

შევიდა ანგელოზი მასთან და უთხრა: გიხაროდეს მადლით მოსილო! უფალი შენთანაა; კურთხეული ხარ ასულთა შორის.

ხოლო ის, როცა იხილა ანგელოზი, შეკრწუნდა მის სიტყვაზე და ფიქრობდა: ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვაო?

და ანგელოზმა უთხრა მას: ნუ გეშინია, მარიამ, რადგანაც ჰპოვე მადლი ღმრთის წინაშე.



და აჰა, მუცლად იღებ, და შობ ძეს, და უწოდებ მას სახელად იესოს.

დიდი იქნება იგი, და უზენაესის ძედ იწოდება, და მისცემს მას ღმერთი მამამისის დავითის ტახტს.

და იმეფებს იაკობის სახლზედ საუკუნოდ, და არ იქნება დასასრული მისი სუფევისა.

ხოლო მარიამმა უთხრა ანგელოზს: როგორ იქნება ეგ, მამაკაცი რომ არ ვიცი?

მიუგო ანგელოზმა და უთხრა მას: სული წმიდა გადმოვა შენზე, და უზენაესის ძალა მოგიჩრდილებს შენ. და ამიტომაც ღმერთის ძედ იწოდება წმიდა შობილი.

(ლუკა, თავი 1, 26-35)

წელს მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს ემთხვევა

# ხარება

# ოცი წლის წინ, აღდგომა დღეს

## ანუ

## რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...

**ოცი** წლის წინანდელ ამბავს მოგახსენებთ...

იმჟამად ერთ-ერთი თბილისური ინსტიტუტის ახალბედა სტუდენტი გახლდით და ინგლისურ ენას მასწავლიდა ქალბატონი ვალენტინა ავგუსტის ასული ვისოცკაია. ქალბატონი ვალენტინა არამარტო ასწავლიდა დასავლურ ენას, არამედ თავად დასავლური კულტურისა და ცივილიზაციის ადეპტს, ურთიერთობაც იქაურ ყაიდაზე ჰქონდა თავის სტუდენტებთან, რაც საბჭოური უტრირებული სუბორდინაციულობის წილ, მეგობრობასა და თანამშრომლობას ეფუძნებოდა. მე მქონდა პატივი ვყოფილიყავი მასთან დაახლოებულ სტუდენტთა შორის, რითაც ერთობ ვამაყობდი. ხოლო ერთმა მოვლენამ ამ სიამაყის საბაბი კიდევ უფრო განმიმტკიცა.

დიდმარხვის ვნების კვირაში ქალბატონმა ვალენტინამ აღდგომის დღეს თავისთან დამიბარა და პირობა ჩამომართვა, რომ უსათუოდ ვეწვეოდი. ვგრძნობდი, რომ რაღაც განსაკუთრებულს მპირდებოდა ეს შეხვედრა. ამიტომ აღდგომა დილიდანვე მთელი დღე უჩვეულო მოლოდინში დავალამე, ვიდრე მოსალამოვებულზე არ მივადექი ჩემი მასწავლებლის სახლის კარებს.

ქალბატონი ვალენტინა ოთახში შემიძღვა, სადაც ჩემამდე უკვე მოსულიყო ოთხი ადამიანი — ერთი ქალი და სამი მამაკაცი — და მათ ჩემი თავი წარუდგინა. დამხვდურნი უბრად ისხდნენ პატარა მაგიდის გარშემო. ხოლო იმ მაგიდის შუაგულში იდო მხოლოდ ერთადერთი თეფში, მწვანე ჯეჯილითა და წითელი კვერცხებით გაწყობილი.

მასპინძელმა გვერდზე გამიხმო და მითხრა: — დღეს ჩვენ აქ ერთი სტუმარი გვეყოლება. ყველაფერს, რასაც მისგან გაიგონებთ, შეიძლება ერთბაშად ვერც აღიქვათ, შეიძლება ბევრი რამ ვერც გაიგოთ და ჯეროვნად ვერც შეაფასოთ, მაგრამ მერწმუნეთ, გავა დრო და დიდი ხნის მერე თქვენ მე მადლიერებით გამიხსენებთ...

არ გასულა დიდი დრო და ის სტუმარიც გამოჩნდა — შავგვრემანი, მწყაზარი პირისახის ახალგაზრდა კაცი. ახლა შემიძლია თამამად ვთქვა, რომ იგი ახალგაზრდა იყო. რადგან ვიცი იმჟამინდელი მისი წლოვანება — რომელიც მხოლოდ სამ ათეულამდე წელს ითვლიდა. თორემ მაშინ, იქ ჩატარებული საუბრების შემდეგ ასაკოვან მამაკაცად დამამახსოვრდა. ხოლო ის გარემოება, რომ იგი სულ ცოტა ორჯერ მაინც იქნებოდა უმცროსი მის მომლოდინე სტუმრებთან შედარებით, უფრო იმათ აბერებდა ჩემს თვალში, ვიდრე ახალმოსულს აახალგაზრდავებდა. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მას შემდეგ, რაც ჩემი მასწავლებლისაგან შევიტყვე უცნობის ვინაობა ჩემთვის მანამდეც ნაცნობი გვარსახელით — ზვიად გამსახურდია — მთლად თვალებად და ყურებად ვიქეცი, რათა რაიმე არ გამომრჩენოდა მისი ნაამბობიდან ჩვენი ერის საჭირბოროტო საკითხებზე. მაგრამ საუბრის თემა იმ აღდგომა დღეს ვითარების შესატყვისი გახლდათ და რელიგიურ საკითხებს უტრიალებდა. გასაკვირი ის იყო, რომ ყველანი ერთ ადამიანს, ზვიად გამსახურდიას, ეკითხებოდნენ და ისიც ხაზგასმული სიდინჯით, წყნარად, მოკვეთილად პასუხობდა. შეკითხვების სპექტრი ფართო იყო, ღვთისმეტყველებიდან და თეოლოგიის ცალკეული საკითხებიდან მოყოლებული თვით ოკულტიზმისა და მაგიის ჩათვლით. და თუმცა მეტწილად როგორც კითხვა, ისე პასუხი ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩებოდა ჩემთვის, შემკითხველის კმაყოფილი სახე მიმანიშნებდა, რომ მან ამომწურავი პასუხი მიიღო.

ჩემი რელიგიური მომზადება აშკარად არ შეესატყვისებოდა იმ საღამოს წარმართულ საუბრებს და თუმცა გაურკვეველ თემებზე მსჯელობა ერთგვარი არასრულფასოვნების კომპლექსსაც ბადებდა, მაინც დაუშვებლად მივიჩნიე, რომ აღმოვჩენილიყავი ზვიად გამსახურდიას სიახლოვეს და არაფერი კი არ მეკითხა მისთვის! თუ ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება რელიგიასთან და ღვთისმეტყველებასთან, აქამდე უცნობი იყო ჩემთვის, ის ხომ კარგად ვიცოდი, თუ როგორ იყო დაკავშირებული იგი — ძე დიდი კონსტანტინესი — ეროვნულ მოძრაობასთან! ამიტომაც, ერთხანს ვითმინე, მაგრამ ბოლოს ველარ მოვითმინე და თუმცაღა ინტუიტიურად ვგრძნობდი, რომ ვარღვევდი იმ საღამოს საუბრების საერთო თემატიკას, მაინც გავბედე შეკითხვის მიცემა: — ბატონო ზვიად, მსმენია, რომ საქართველოში ადრე არსებობდა ქართველი ერის თავისუფლების ორგანიზაცია — „ქეთო". ხომ არაფერს იტყოდით მის შესახებ უფრო დაზუსტებით?

პასუხად ჩემი შეკითხვის ადრესატმა თანაგრძნობიერი შემწყნარებლობით გადმომხედა და დაახლოებით ასე მიპასუხა: — ქართველი ერი, თავისი ისტორიის მანძილზე გამუდმებით იბრძოდა სხვადასხვაგვარი გზებით თავისი მტრების, წინააღმდეგ და ზოგჯერ იყო წინააღმდეგობრივი ორგანიზაციების შექმნის მცდელობა, ზოგჯერ მათი შექმნის სურვილი აღემატებოდა კიდეც რეალურ საშუალებებს... — მოკლედ მომიგო და ისევ იმდღევანდელი ბჭობის საგანზე გააგრძელა მსჯელობა...

ეს იყო და ეს, მას შემდეგ, რაც იგავსიტყვიერი პასუხი დამიბრუნდა, მე იმ საღამოს საუბარში აღარ ჩავრეულვარ, მხოლოდ მოყურადედ დავრჩი ბოლომდე და თუმცა დროის ხანგრძლივობასთან ერთად — ჩემი შემეცნების ხარისხი არ ამაღლებულა, იმ საღამოს მაინც ის იყო მთავარი, რომ იქნებ ქრისტეს მოძღვრების საიდუმლონი ვერ გამიცნაურდნენ, მაგრამ თვით ქრისტიანული მადლი გადმოვიდა ჩემზე იმ ადამიანისაგან და სამუდამოდ გამყვა მთელი ცხოვრების მანძილზე. მას შემდეგ მე ბატონი ზვიადი ასე ახლოს აღარსად მინახავს, მაგრამ იმდღევანდელი შთაბეჭდილება საკმარისი იყო, რომ ერთ რიგით ქართველად მეც იმათ შორის ვყოფილიყავი, ვინც განუხრელად თანაუგრძნობდა მას ოცწლიან უთანასწორო ბრძოლაში იმპერიის წინააღმდეგ.

სამოცდაათიან წლებში სხვებთან ერთად მეც ვავრცელებდი თანამზრახველთა შორის გამსახურდიას „ოქროს საწმისებს" და სხვა არალეგალურ ლიტერატურას, ოთხმოციან წლებში ჩემს მოკრძალებულ სიტყვას ვძრავდი ჰელსინკის კავშირის დასაცავად, ხოლო ეროვნული მოძრაობის ფართოდ გაშლის დღიდან არ დავკლებივარ მის არც ერთ აქციას — დაწყებული 1988 წლის 26 მაისიდან, ოდეს მერაბმა და ზვიადმა ლოცვა აღავლინეს სიონში. ნოემბრის მანიფესტაციების მონაწილეც გახლდით, 9 აპრილის ტრაგედიის თვითმხილველიც, მისი მოღვაწეობის გულშემატკივარიც ეროვნული ხსნის კომიტეტსა თუ ეროვნულ ფორუმში და ბოლოს, ვიდექი მათ რიგებში, ვინც ერთი ხმით შეავსო 28 ოქტომბრის გამარჯვების მოსაპოვებლად საჭირო ხმის რაოდენობა. და დღესაც ვრჩები რიგით ჯარისკაცად იმ ეროვნულ ლაშქარში, რომელსაც წინ უძღვის ზვიად გამსახურდია.

რადგან ეს წერილი ქართული ეროვნული მოძრაობის მონაწილე ერთ რიგით ადამიანს ეკუთვნის, ვამთავრებ ინიციალებით, ამას ვაკეთებ შეგნებულად, რათა ავტორს იგი თავისი ღვაწლის წარმოჩენის სურვილად არ ჩაუთვალონ, ხოლო მეორეს მხრივ — იმიტომაც, რომ თუმცა კერძო პირის დაწერილია, მთელი ქართველობის საერთო სათქმელს გამოხატავს.

ზ. ა.

**P.S.** არ შემიძლია, არ დავსძინო: დღეს, როდესაც თავისუფლების მომლოდინე საქართველო ბედნიერი აღდგომის გათენებას ელის და ბოლოს და ბოლოს გვესახება იმედი, რომ ქრისტეს აღდგომასთან ერთად საქართველოსაც ეღირსება მკვდრეთით აღდგენა, თუ არის ამაში ვინმეს წვლილი, არის თუ არა ეს უწინარესად ზვიად გამსახურდიას დამსახურება? დღეს გადმომდგარან მავანი და მავანი „ინტელიგენტები" და როცა დემოკრატიულობისაკენ მოუწოდებენ ზ. გამსახურდიას, რად ავიწყდებათ, ვინ იბრძოდა სამშობლოს გამოხსნისათვის მაშინ, როცა ისინი ჯილდოებსა და წოდებებს იხვეჭდნენ იმპერიის სამსახურში? საკვირველია ღმერთმანი, ადამიანის გულმავიწყი და უმადური ბუნება. თუ თავის დროზე კეთილშობილი ქართული გვარეულობის ხალხმა თვით სოციალ-დემოკრატებსაც კი არ აქცია ზურგი: „ძლივს ეროვნულ მთავრობას ველირსეთ და როგორ არ ვემსახუროთო", დღეს ამათ რა დაემართათ, ან, იქნებ თავისუფლების გზით სიარულს მათ უსამშობლო სოციალ-დემოკრატიის მესაჭეობა ურჩევნიათ? შურმა და ამბიციამ ასე როგორ დაუბრმავათ თვალები: არც ნაკლები დემოკრატები არიან უკრაინაში და არც ნაკლები სისხლი დაღვრილა აზერბაიჯანში, მაგრამ იქ ვერ გაიმარჯვეს პროგრესულმა ძალებმა. გადაჭრით მოგახსენებთ: ვერ გაიმარჯვეს იმიტომ, რომ მათ არ ჰყავდათ თავისი ზვიად გამსახურდია! ახლა ჩავლილი ვნებათაღელვების შემდეგ მუშტის ქნევა ადვილია, მაგრამ ჩაიხედონ თავიანთ გულებში და თქვან, თუნდ სამი წლის წინაც კი წარმოიდგენდა ვინმე, რეალურ ცხოვრებაში კი არა, თვით ზღაპარშიც, კომპარტიისაგან ძალაუფლების დათმობას და საქართველოს გათავისუფლების შესაძლებლობას? იფიქრებდა ვინმე, რომ ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს ქართულ ენაზე გაუმართავდა საერთაშორისო მოლაპარაკებას?

ამიტომ არის, რომ ჩვენ, უბრალო, რიგითი ქართველები ერთგულად ვდგავართ იმ ადამიანის გვერდით, რომელმაც აირჩია საქართველოს თავისუფლება თავისი ცხოვრების მიზნად და რომელიც აირჩია საქართველომ თავის წინამძღოლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლიანი კვირა– 9 აპრილი

**ორი** წელი გვაშორებს ამ თარიღს. და დღეს, გარკვეულწილ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იბერიულ-კავკასიურ სულს არ მიუტოვებია საქართველო. ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ, ერის გამოღვიძებამ და ეროვნული ენერგიის ამოძრავებამ ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრები სერიოზულად შეაშფოთა. „აფხაზეთის პრობლემამ“ ვერ გადასწონა თავისუფლებისაკენ სწრაფვა, საქართველო უდიდესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა; იმპერიულ ძალებს სხვა ალტერნატივა არ ეგულებოდათ (და ალბათ არც დარჩათ), გარდა სისხლის ღვრისა, ერს — მსხვერპლის გაღებისა.

იმ ღამით კი „ქვანიც ღაღადებდნენ“ შემზარავი წინათგრძნობით აღვსილნი. მთვარეც გამქრალიყო... იქ კი, „ქაჯეთის ციხეში“ მოკალათებულ კრემლის დამქაშებს და ლენინის მოედანზე სატანის ლაშქარს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ განჩინების აღსრულება. ამ შემთხვევაში ისტორიული ბედისწერის გაელვება, კვლავ ნამგალსა და უროს (ნიჩაბსა და ხელკეტს) და საბჭოთა იდეოლოგიას (მომწამვლელ გაზებს) შეება...

იმ წუთებში შევიგრძენით ჩვენი ისტორიული მისია, მას შემდეგ რაც მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი და სხვანი ქართველი ერის დაუმორჩილებელი ნების აღზევებამ თავისუფლების უშინაგანეს ხმად გარდასახა და მოაქცია თითოეული ჩვენთაგანის გულში.

და ეს არ იყო შემთხვევითობით გამოწვეული დაპირისპირება და არც პატივმოყვარეობით აღძრულ განზრახვათა გულის ხმა, ეს იყო კანონზომიერი შედეგი, როცა ერი და ბერი ერთი კირთების ქვეშ მოექცა. სულიწმიდის მადლი გარდამოევლინა ერს და გამარჯვების იმედი დაბადა. თუმცა ყოვლისმომცველი ეჭვი აგვეკვიატა სწორედ სიკვდილის მოახლოებით, „სიმშვიდის მონობაში“ — ყოველდღიურობის საზარელ მოჩვენებითობაში რომ არ დავბრმავებულიყავით.

და ის მდუმარებაც — თითოეულს თავისი არსის შესაცნობად.... შეუძლებელია ღრმა ჩაფიქრებისა და გააზრების გარეშე მიაგნო ჭეშმარიტების მარცვალს სისხლიანი კვირის დსაბამსა და დასასრულში, მით უმეტეს დღევანდელობასთან მიმართებაში. ერთი რამ კი ცხადია: მომავალი 9 აპრილი, 9 მარტივით არ უნდა დასრულდეს. მით უფრო, რომ არსებობს საქართველოში პარტიული ურთიერთბრძოლების და „ყარაბახის“ (როგორც კრემლის მიერ ჩვენთვის თავსმოხვეული ომის) საშიშროება. ამიტომ გვმართებს ქრისტესმიერი გზით სიარული. ეგების „სხვათა თანანადებთან ჩვენი თანანადებნი განვიცადოთ“ იმ არსობის პურში, რომელიც სიკვდილიცაა და სიცოცხლეც, თავგანწირვაც და თავდავიწყებაც, სასოწარკვეთაც და სასოებაც, შიში და გმირობა, მოყვასისადმი თავდადება, რომელმაც ქართველობა დღემდე მოიყვანა.

9 აპრილი და საერთაშორისო პოლიტიკური რეზონანსი ისეთ ურთიერთმიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც „ცაა და დედამიწა“. გამონაკლისია ამ მხრივ ამერიკის სენატის რეზოლუცია № 110. ეს ყოველივე არ არის გასაკვირი, არსებული რეალობიდან გამომდინარე გასაგებია და მისაღებიც. დასავლეთის პოლიტიკოსთა, სახელმწიფო მოღვაწეთა ნაწილი კარგა ხანია რაც საქართველოს და ქართველ ერს მისი გეოპოლიტიკური, ისტორიულ-კულტურული და სულიერ ასპექტთა გამო „აფეთქებადსაშიშ ზონად“ მიიჩნევს. სინამდვილეში კი ღვთის რჩეული ერის თავისუფლებისაკენ სწრაფვისას, მისი წარმმართველი თვისი ბუნებიდან გამომდინარე სიკეთესა და ბოროტებას შორის განწვალული სულიერებაა — წინასწარმეტყველურ და მისტიკურ საწყისთა ჰარმონიით რომ განმსჭვალავს მსოფლიო სულს — მარადიულ კაცობრიობას. სწორედ ეს უმთავრესი ფაქტორი წარმოჩნდა ჩვენში 9 აპრილს და მის შემდგომ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციას ცენტრი დროებით მხოლოდ იმიტომ შეეგუა, რომ მან კარგად უწყოდა და უწყის, დღევანდელმა ცივილიზაციამ ნამდვილი სულიერება რომ უარყო და გრძნობად-რაციონალურ საწყისთა გაფეტიშებით მილიონთა გულსა და გონებას დაეუფლა. ამ მხრივ არსებობდა ნათლისაკენ გარკვეულწილ მოქცევის საშიშროება.

მსოფლიოს ბოლომდე არ უნდა გაეგო ჩვენი ჭეშმარიტი ძალისხმევა, არ უნდა შეეგრძნო მისი ენერგია — ბედისწერის აპოთეოზით გამონთავისუფლებული; მაგრამ მისი მამხილებელი ძალა (9 აპრილის იმპულსით) აღმოსავლეთ ევროპაში, ჩინეთსა და საბჭოთა იმპერიაში ბოროტების შემოტევამ კიდევ უფრო საჩინო გახადა. თუმცა „ჭეშმარიტების გაშიშვლება“ მაინც არ შედგა.

რა თქმა უნდა, დასავლეთისათვის საბჭოეთში მიმდინარე პროცესების შედეგად პოლიტიკური დივიდენდების მოპოვება მშვიდობიანი გზით, როდესაც ინიციატივა მის ხელშია, ძალზედ ხელსაყრელია და მომგებიანი, მაგრამ იმის გათვალისწინებაც აუცილებელია, რომ „ბაბილონის მეძავი“ შვიდთავიან ურჩხულს ემყარება და მთელი მსოფლიოს ბედთან იდუმალი ძაფებითაა დაკავშირებული, მათი გადაჭრა კი მხოლოდ უფლის წინასწარგანზრახვითაა შესაძლებელი. თავისუფლებისათვის მებრძოლ ყოველ ერს, მომლოდინეს ღვთის სასწაულის, უნდა სწამდეს, რომ განსაცდელი (გველეშაპის მიერ იონას გადაყლაპვა) მოიწევა კაცობრიობის იმ ნაწილზე, რომელიც ზურგს შეაქცევს მათ ჭეშმარიტ ბრძოლას. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხალხთათვის ახალი ეპოქა ბოროტების იმპერიის სრული დანგრევის შემდგომ დაიწყება. როდესაც ყოველი დამონებული ერი განთავისუფლდება, თავს დააღწევს საბჭოურ ძალადობას და როგორც არ უნდა შეინიღბოს დღეს ეს ძალადობა, რა სახეცვლილებაც არ უნდა განიცადოს, იგი ვერ შეცვლის თავის არსს — ცოდვისა და მონობის სულს, რომლითაცაა დაღდასმული მეტნაკლებად დღევანდელი კაცობრიობის ნაწილი. 9 აპრილს წამებულნი არიან სწორედ ერის მიერ თავისუფლების სამსხვერპლოზე მიტანილი ზვარაკნი, რამაც დასძრა ნათელი აღმოსავლეთიდან, იმ სიტყვის წარმოსათქმელად, აღთქმული შურისგების ცეცხლოვან მაცნედ რომ მოევლინება ადრე თუ გვიან უკეთურობის მთესველთ, ჟამს თანანადებთა განცხადების.

ამის საწინდარია მსხვერპლი შმარიტი, იგივე სიცოცხლისა სიკვდილის შეთავსება — „მსხვერპლი არის დამნაშავის მიერ ნებაყოფლობით მიღებული სასჯელი, თუმცა იგი არის სასჯელი ანუ კვდილი, იმავდროულად გარდაიქმნება მიტევების, ესე იგი სიცოცხლის წყაროდ და პირობად. მსხვერპლი არის არარაობის გადასვლა ყოფიერებაში, ცოდვისა — სიკეთეში. ის არის სიცოცხლე სიკვდილში, სიცოცხლის შეერთება სიკვდილთან“ (დეკანოზი პავლე სვეტლოვი).

**სიმონ წერეთელი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რთულ პოლიტიკურ ვითარებაში

**არსებულ მძიმე პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით კონკრეტული ფაქტების კომენტირება ვთხოვეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებს, ბატონ გიორგი გულბანს და ბატონ მერაბ კიკნაძეს.**



**ბ-ნ გიორგი გულბანი** — მდგომარეობაში შეძლებისდაგვარად გარკვევისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა ძალები მოქმედებენ დღეს სსრკ-ს და რსფსრ-ს პოლიტიკურ ასპარეზზე. ამ საკითხზე ზუსტი ინფორმაციის უქონლობის გამო დანამდვილებით საუბარი დღეს შეუძლებელია, რაც ქმნის ნიადაგს მრავალი მოსაზრების არსებობისა. ერთის მხრივ, შეიძლება ლოგიკური ჩანდეს მოვლენების ახსნის მოდელი, რომელიც ემყარება შემდეგ მოსაზრებას — 70-იანი წლებიდან რეალურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად, გალატაკებული საბჭოთა იმპერიის მმართველ წრეებში ჩაისახა იმპერიის მთლიანობის გადარჩენის კონცეფციები. ერთ-ერთ ასეთ კონცეფციად შეიძლება ჩაითვალოს „გარდაქმნად" წოდებული მოდელი, რაც ძალზედ წააგავს შეზღუდულ „ნეპ"-ს. სსრკ-ში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ კერძო საკუთრების დამკვიდრებით. მაგრამ საკუთრების ამ ფორმას ახლავს იმპერიისათვის არასასურველი „გვერდითი მოვლენაც": ეკონომიკური ინიციატივის თავისუფლება აუცილებლად იწვევს პოლიტიკური თავისუფლებების განხორციელების მოთხოვნილებასაც, რაც იმპერიაში უპირველეს პრობლემას — ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემას წამოატივტივებს. ეს ყველაფერი ესმოდათ ამ მოდელის ავტორებს და ცხადია, მათ იზრუნეს, რათა დემოკრატიის დროშით წარმართული სპონტანური პოლიტიკური პროცესები კონტროლის ქვეშ ჰქონოდათ. ამ მიზნით ფართოდ იქნა გამოყენებული როგორც ცრუ ოპოზიციური ორგანიზაციების შექმნა, აგრეთვე, რეალურ ოპოზიციაში აგენტების შეგზავნა. ცხადია, რომ ნამდვილ ოპოზიციას ერთის მხრივ რუსეთში და მეორეს მხრივ, სხვა რესპუბლიკებში, სხვადასხვა მიზნები ჰქონდათ და აქვთ. რუსეთის ოპოზიციას სურდა დემოკრატიული, მდიდარი რუსეთის იმპერიის აღორძინება და მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველყოფით ეროვნული მოთხოვნების გაფერმკრთალება. ასეთი გახლდათ დისიდენტთა ჯგუფების იდეალი, რომელსაც მსოფლიო სახელის მქონე ანდრია სახაროვი ხელმძღვანელობდა. მათი წარმოდგენით, სსრკ უნდა გარდაქმნილიყო აშშ-ს ტიპის ფედერაციულ ერთიან რუსულ სახელმწიფოდ. დაპყრობილ სახელმწიფოებში — „მოკავშირე რესპუბლიკებში", კი ოპოზიცია იბრძოდა დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

„პერესტროიკის" ავტორებმა გარკვეულად მოახერხეს მოვლენების მართვა რსფსრ-ში და წარმოჩნდა კიდევ ერთი მოდელი: რსფსრ ხელს არ უშლის სხვა რესპუბლიკებს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში (თუმცა სიხარულით აღიქვამს მათ „სურვილს" დარჩნენ სსრკ-ს შემადგენლობაში), მაგრამ ყველამ უპირობოდ უნდა სცნოს რსფსრ, როგორც კანონიერი, ერთიანი, განუყოფელი სახელმწიფო და „თვალი დახუჭონ" იმ ფაქტზე, რომ თვით რსფსრ-ც იმპერიაა.

რსფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილება შეიძლება ჩაითვალოს იმის დადასტურებად, რომ ამ ორგანოს წევრთა 99 პროცენტი ვერ ელევა რუსეთის იმპერიის იდეას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქოს „იბრძვიან" როგორც რსფსრ-ს, ასევე რსფსრ-ს შემადგენლობაში მყოფი დაპყრობილი ერების სუვერენიტეტისათვის და ანიჭებენ მათ „მოკავშირე" რესპუბლიკების სტატუსს. ამ ვითარების ახსნა ძალზედ მარტივად შეიძლება. გაიზიარა რა სსრკ-ში ე. წ. გარდაქმნის პროცესის პოლიტიკური გამოცდილება (რომლის ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ „გლასნოსტის" მედროშეებმა გააპიანურეს სსრკ-ს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ლიბერალიზაცია: დაპყრობილი სახელმწიფოებისთვის უფლებების გაზრდის ტემპები და ხარისხი სულ ცოტა ორი წლით ჩამორჩა ამ ერების ცნობიერებაში თავისუფლების მოპოვების აუცილებლობის გაცნობიერების, პროცესს), რსფსრ ჩქარობს ფიქტიური სუვერენიტეტი გამოაცხადებინოს მის შემადგენლობაში მყოფ ავტონომიურ ფორმირებებს იმ დროს, როდესაც ამ ფორმირებათა მოსახლეობას ჯერ არ აქვს გაცნობიერებული თავისუფლების მოპოვების აუცილებლობა (ამდენად ამ „სუვერენიტეტს" ისინი აღიქვამენ, როგორც დიდი რუსი ძმის სულგრძელ საჩუქარს) და შესაბამისად თავისი ნებით, დემოკრატიულად, სიხარულით მოაწერენ ხელს ნებისმიერ კაბალურ ხელშეკრულებას როგორც რსფსრ-ს სხვა ფორმირებებთან, ასევე სსრკ-სთან.

ამ კუთხით, საქართველოს საკითხი ერთგვარ სასინჯ ქვად იქცა რსფსრ-ს ყრილობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მათ მშვენივრად იციან, რომ კრემლია საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციის სულისჩამდგმელი და რომ შიდა ქართლში სსრკ-ს ჯარები უშუალოდ ეხმარებიან „ოს პატრიოტთა" მომქმედ ბანდებს, რომელთა შორის რსფსრ-ში მცხოვრები ბანდიტებიც არიან, მათ მიიღეს დადგენილება (ოფიციალური დოკუმენტი!), რომ განთავისუფლებულ იყვნენ კულუმბეკოვი და მძიმე დანაშაულში ბრალდებული სხვა პირნი, რადგან თითქოს მათი დაკავება არაკანონიერი ყოფილიყოს (რატომ არის არაკანონიერი, არაფერს გვაუწყებენ). ამას გარდა, სთხოვენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს აღადგინოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი და სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სტრუქტურა. ამ მუქარიან „თხოვნაში" ორი მომენტია, რაც ადასტურებს რსფსრ-ს მიერ საქართველოში მომხდარი ცვლილებების იგნორირების ტენდენციას — საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 72-ე მუხლის მიხედვით ახალი ავტონომიური ფორმირების შექმნის საკითხი საქართველოში (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი არ არსებობს, ამიტომ საუბარი შესაძლებელია მხოლოდ მის თავიდან შექმნაზე) შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მთელს საქართველოში რეფერენდუმის ჩატარების გზით. ასე რომ, „თხოვნის" ამ ნაწილს უზენაესი საბჭო ვერ დააკმაყოფილებს შესაბამისი უფლებების უქონლობის გამო; რაც შეეხება სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სტრუქტურის აღდგენას, ეს სრულიად უკანონო აქტი იქნებოდა, იმდენად რამდენადაც ყოფილ სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ხელისუფლების საბჭოური სტრუქტურები, ისევე როგორც მთელს საქართველოში, შეიცვალა სხვა სტრუქტურებით.

ამას გარდა, ყრილობა მიმართავს საქართველოს უზენაეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს (რომელიც სხვათა შორის ჩვენს სინამდვილეში უკვე მთავრობად იწოდება), რათა მოხსნას არარსებული ბლოკადა და მოახდინოს ვითარების სტაბილიზაცია. სხვათა შორის, ვითარების სტაბილიზაციისათვის მთელს საბჭოთა კავშირში საუკეთესო გზაა, რომ რსფსრ-ში მცხოვრები ჭაბუკები სხვა ქვეყნებში ოკუპანტებად კი არ გაგზავნონ, არამედ რსფსრ-ს ტერიტორიაზე მოახდევინონ სამხედრო ბეგარა.

ამ დადგენილების ყველაზე აღმაშფოთებელი დებულებაა, რომ ყრილობას შეუძლებლად მიაჩნია სახელშეკრულებო შეთანხმებების დადება საქართველოსთან, თუ არ შესრულდება ზემოთ ჩამოთვლილი ცინიკური მოთხოვნები და ეს მაშინ, როდესაც ასეთი შეთანხმებების ძირითადი საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ რსფსრ-ს მიერ საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის ანექსიის უპირობოდ აღიარება და გარკვეულწილად იმ ბარბაროსულ დანაშაულებათა მონანიება, რაც წითელმა არმიამ ჩაიდინა საქართველოში.

ახლა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ" სსრკ უზენაესი საბჭოს დადგენილების თაობაზე. ეს დადგენილება, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება, საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევის კლასიკურ ნიმუშად გამოდგება. დადგენილების პირველი პუნქტით სსრკ-ს პრეზიდენტს ურჩევენ მთელი შიდა ქართლის (მათი თვალსაზრისით ამ ტერიტორიას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ეწოდება, საერთოდ ორივე დოკუმენტში იგნორირებულია რეალობა — საუბარია არარსებულ ავტონომიურ ფორმირებაზე) ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის განხორციელებას, მაშინ როდესაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამ უფლებით სარგებლობს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და უზენაესი საბჭო. ამ დადგენილების მე-2 პუნქტით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და 1990 წლის 11 დეკემბერს უფლებამოსილებაშეწყვეტილ, საერთოდ გაუქმებულ სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს ევალება(!) უზრუნველყოს პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესრულება, რომლის მოქმედებაც საქართველოს ტერიტორიაზე შეჩერებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ.

მე-3 პუნქტით სსრკ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ევალება შექმნას საგამოძიებო ჯგუფები, რათა, ალბათ, ისეთივე ობიექტურობით „გამოიძიონ" შიდა ქართლში ჩადენილი დანაშაულებანი, როგორც მათ „გამოიძიეს" თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მიხეილ გორბაჩოვის მითითებით ჩადენილი დანაშაული; ფერღანაში, ბაქოში, ვილნიუსში, რიგაში ჩადენილი დანაშაულებანი.

მე-4 და მე-5 პუნქტებით სსრკ მინისტრთა კაბინეტს ევალება ჩაერიოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციაში, ხოლო მე-6 პუნქტი კი, ალბათ, აუცილებელ პასუხს მოითხოვს საქართველოს უზენაესი საბჭოსაგან (გვავალებენ ისეთი პირობების შექმნას, რომ ლტოლვილები დაუბრუნდნენ საცხოვრებელ ადგილებს, ა ნ უ მ შ ვ ი დ ო ბ ი ს  ა ღ დ გ ე ნ ა ს). ამ „დავალების" შესასრულებლად აუცილებელია სსრკ უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან (პირველ რიგში, შიდა ქართლიდან) მთლიანად გაიყვანოს სსრკ შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილები. უპრიანი იქნება გაიხსენონ 60-იან წლებში სსრკ-ში მეტად პოპულარული ლოზუნგი „ხელები შორს ვიეტნამისაგან!" და, შესაბამისად, საკუთარი კიდურები მოაშორონ საქართველოს!



**ბ-ნი მერაბ კიკნაძე** — ბორის ელცინის ფიგურა ჩვენს საზოგადოებაში დიდ კამათს იწვევს, ხშირად ისმის ურთიერთგამომრიცხავი, პოლარული აზრები ამ პოლიტიკოსის შეფასებისას. გაიგებთ მოსაზრებას გორბაჩოვ-ელცინის ფარული ალიანსისა და, აქედან გამომდინარე, — ცენტრსა და რუსეთს შორის ბრძოლის ინსცენირებულობის შესახებაც. ჩემის აზრით, ეს რეალურად არსებული წინააღმდეგობების უგულვებელყოფა და, შესაბამისად, რეალური პოლიტიკური ვითარების დაუშვებელი გამარტივებაა (ან გართულება, თუ ამ გამარტივების შედეგებს გავითვალისწინებთ).

ეჭვს გარეშეა, რომ ორივეს (ელცინსაც და გორბაჩოვსაც) სურს ერთიანი რუსული სახელმწიფოს შენარჩუნება. მათ შორის არსებული ძირითადი განსხვავება შესანარჩუნებელი სახელმწიფოს საზღვრების მოაზრებაშია. გორბაჩოვი უმტკივნეულოდ შეელია „გარე იმპერიას" იმისათვის, რომ ერთიანი სახელმწიფო საბჭოთა კავშირის ფარგლებში დაესტაბილებინა. ჩემის აზრით, ელცინი მზადაა კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმისთვის. ის პრინციპში თანახმა იქნება შეელიოს „ურჩ რესპუბლიკებს" (ყოველ შემთხვევაში ნაწილს მაინც), იმისათვის რომ ერთიანი სახელმწიფო დღევანდელი რსფსრ-ს ფარგლებში დასტაბილდეს. გავიხსენოთ ელცინის გამოსვლა რსფსრ-ს დეპუტატთა პირველ ყრილობაზე, სადაც მან აღიარა, რომ საკუთრივ რუსეთში არანაკლები სიმძაფრის „სეპარატისტული" ტენდენციებია მოსალოდნელი, ვიდრე სსრკ-ში. ელცინი სრულად გრძნობდა და გრძნობს ამ ხიფათს და ყველანაირად ცდილობს მის თავიდან აცილებას. ელცინი ამაში მარტო არ არის (გავიხსენოთ სოლჟენიცინის აზრი იმის თაობაზე, რომ რუსების ეროვნული ენერგია იხარჯება იმპერიის განაპირა ერების ასიმილაციის ცდებზე).

ასეთ პოზიციას საკმაოდ მყარი ეკონომიკური საფუძველიც აქვს — თვით რუსეთშიც კი ბევრს ესმის, რომ სახელმწიფოს რუდიმენტული, იმპერიული მოწყობა გამორიცხავს ყოველგვარ ეკონომიკურ პროგრესს, ეკონომიკის ჰარმონიულ ანუ საბაზრო სტრუქტურას, რომლის დამკვიდრება ცალსახად მოითხოვს პოლიტიკურ ლიბერალიზაციას (იუგოსლავიის მაგალითი: აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე მოწინავე პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურის ქვეყანა მოკლე ხანში საგრძნობლად ჩამორჩა თავის „ტოტალიტარულ" მეზობლებს იგივე მიზეზის გამო). აქ მოჯადოებული წრეა, რომლის გარღვევაც მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაციით მიიღწევა, ეს კი უცილობლად გამოიწვევს იმპერიის რღვევას. სწორედ იმ გარემოებამ, რომ ეს ნაბიჯი არ გადაიდგა, ჩანასახშივე დაამუხრუჭა პოლიტიკური ცვლილებებისაგან იზოლირებული ეკონომიკური რეფორმის ცდები. ეს ობიექტური რეალობა უკვე ბევრს ესმის რუსეთში, მათ შორის ელცინსაც.

რსფსრ „სახალხო" დეპუტატთა ყრილობა არ ასახავს რუსეთში პოლიტიკურ ძალთა დღევანდელ თანაფარდობას. ამაზე მეტყველებს რსფსრ რეფერენდუმის შედეგები. გავიხსენოთ, ვის მიერ და რისთვის იყო ეს ყრილობა მოწვეული — ელცინის გადასაყენებლად. რეფერენდუმის შემდეგ ამ სვლას აზრი ეკარგება. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გახდება რსფსრ პრეზიდენტი: ელცინი-უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, თუ ელცინი-რიგითი მოქალაქე? ელცინის დუმილიც ამ „კეთილშობილთა შეკრებაზე" მარტივად აიხსნება; რუსეთისა და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანწილად სსრკ-ს მომავალი, საბედნიეროდ, არ წყდება არც ამ ყრილობაზე და არც სსრკ უზენაესი საბჭოს სესიაზე, არამედ შახტებში, მეტალურგიულ ქარხნებში და ა. შ. სადაც ცალსახად მხარს უჭერენ ბორის ელცინს.

სრულიად უსაფუძვლოდ მეჩვენება ეჭვი, თითქოს ელცინის ჩამოსვლა ყაზბეგში და საქართველოსთან დაკავშირების ცდა არის წუთიერი, კონიუნქტურული მოსაზრებებით განპირობებული. უსაფუძვლოდ მეჩვენება, ვინაიდან ამით თავის მოწინააღმდეგეებთან დღეს „ქულებს" ვერ დააგროვებს.

ესაა მომავალ სუვერენულ მეზობელთან ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ გადადგმული შორსგამიზნული ნაბიჯი. მეყსეული ამოცანა და მიზანი კი, შესაძლოა, თავგასული ავტონომიების გაუქმების პრეცედენტის მდუმარე მხარდაჭერა იყოს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ არასოდეს გამოგვრჩება მხედველობიდან ის პრინციპული, ისტორიულ-პოლიტიკური განსხვავება, რაც არსებობს შიდა ქართლის ტერიტორიაზე შექმნილ ყოფილ ავტონომიურ წარმონაქმნსა და რუსეთის ფედერაციაში შემავალ ავტონომიებს შორის. ამდენად, ამ საკითხში საქართველო არასოდეს გახდება რუსეთის მოკავშირე, ხოლო ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ჩვენ, რასაკვირველია, მუდამ მივესალმებით.

**ზემოთქმულს დავსძენთ — ბატონი მერაბ კიკნაძის ფრიად ხაზგასმულ შეხედულებათა სისწორეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ცხოვრება გვიჩვენებს. მეორეს მხრივ, ბატონი გიორგი გულბანის მოსაზრებებს ერთი ნიშანდობლივი ხარვეზი ახლავს, რასაკვირველია, ჩვენის აზრით, — იგულისხმება ე. წ. ცენტრის გახამცარი ვამპრიახობა, მოვლენების განვითარების განჭვრეტის იშვიათი უნარი და შესაშური ორგანიზებულობა, რაც, ვფიქრობთ, მაინც საეჭვოა.**

---

**1921** წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია-ანექსიისა და ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ არაერთ ქართველს ვხვდებით ევროპის ქვეყნების შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდადებულ ქართველ იუნკერთა დამსახურება. ქართველმა მებრძოლებმა ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს პოლონეთისა და საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში.

ჩვენს თანამემამულეთაგან ბევრი ირიცხებოდა გერმანიის არმიის, კერძოდ, ქართული ლეგიონის შემადგენლობაში. დღემდე გერმანულ ჯარში (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომის წლები) ქართველ მებრძოლთა არსებობა ოფიციალური წრეებისა და კომუნისტური რეჟიმის კარის ისტორიკოსთა მიერ ცალსახად იყო შეფასებული როგორც ერის ღალატი და გამცემლობა. ამასთან, არ ითვალისწინებდნენ ამ მოვლენის ობიექტურ მხარეებს, რომლებიც მრავლად მოიპოვება და რომლებიც ნათლად წარმოაჩენს გერმანიის ჯარში მოღვაწე ქართველთა საქმიანობის ჭეშმარიტ სურათს. რაღა შორს წავიდეთ, დღესაც საბჭოთა იმპერიის ოფიციალური წრეები ბალტიისპირა ქვეყნებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებსაც ფაშიზმის გამოვლინებად, მათ წარმომადგენლებს კი პირწავარდნილ ნაცისტებად ნათლავენ.

გერმანიის არმიაში ქართული ლეგიონის არსებობა ნაკარნახევი იყო არა რომელიმე ერისადმი სიძულვილითა და ნაცისტური განწყობილებით, არამედ მშობელი ერის კომუნისტური რეჟიმის ბრჭყალებისაგან დახსნის, ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის სურვილით. გერმანიის ჯარს ისინი უყურებდნენ, როგორც ამ სანუკვარი ოცნების ხორცშესხმის კონკრეტულ იარაღს. ეს თვალნათლივ არის ნაჩვენები თუნდაც შესანიშნავი მამულიშვილის გივი გაბლიანის წერილებში (დაინტერესებულ მკითხველებს მათი გაცნობა გაზ. „მამული"-ს ბოლო ნომრებში შეუძლიათ).

ქვემოთ, იმ მასალებზე დაყრდნობით, რომელთა მოპოვებაც შევძელით, შევეცდებით წარმოვაჩინოთ პოლონეთის, საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის არმიებში მოღვაწე ჩვენს თანამემამულეთა დამსახურება, მათი მხედრული ბიოგრაფიები. წინამდებარე ნარკვევი მხოლოდ წვეთია იმ ზღვა მასალისა, რომელიც სრულფასოვან, ზედმიწევნით შესწავლას საჭიროებს.

**პოლონეთი.** პირველი ქვეყანა, რომლის არმიაში მოღვაწეობა მოუხდა დამოუკიდებლობაწართმეული საქართველოდან ლტოლვილთა მოზრდილ ნაწილს, გახლდათ პოლონეთი. ამ სახელმწიფოს არმიასა და სხვადასხვა საფეხურის სამხედრო სასწავლებლებში ჩაირიცხა რვა ათეულზე მეტი ჩვენი თანამემამულე. მათ შორის გახლდათ 6 გენერალი, 35 მაღალი წოდების ოფიცერი და 50 ყოფილი იუნკერი.

**ალექსანდრე (შაქრო) ბაქრაძე (1870-1938)** იყო გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დიმიტრი ბაქრაძის ვაჟი. მას დამთავრებული ჰქონდა თბილისის რეალური სასწავლებელი და ალექსანდრეს ქვეითთა უმაღლესი სამხედრო სკოლა.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს ეკავა ქვეითთა ჯარის ერთ-ერთი პოლკის მეთაურის მოადგილის, პირველი მსოფლიო ომის წლებში კი ჯერ პოლკის მეთაურის, შემდეგ კი ბრიგადის სარდლის თანამდებობანი. პირველი მსოფლიო ომის წლებშივე მიიღო მან რუსეთის არმიის პოლკოვნიკის სამხედრო ხარისხი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე იგი სამშობლოში დაბრუნდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული ეროვნული რეგულარული ჯარის შედგენაში. გარდა ამისა, მან ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ქართული არმიის გენერლის ხარისხი. ასრულებდა ჯერ დივიზიის მეთაურის, ხოლო 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ერთ-ერთი არმიის სარდლის მოვალეობას.

1921 წლის მარტიდან შაქრო ბაქრაძე გადავიდა პოლონეთში, სადაც დიდი პატივით მიიღეს. მცირე ხნის შემდეგ მიეკუთვნა ბრიგადერის მაღალი სამხედრო წოდება და და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ურუშაძე

# ქართველები ევროპის ჯარში

## (1920-1940-იანი წლები)

ნიშნა პოლონეთის არმიის ფეხოსანთა მე-15 დივიზიის სარდლის მოადგილედ. პოლონეთის ჯარში სამსახურის ექვსი წლის მანძილზე შაქრო ბაქრაძემ მიიღო რამდენიმე მაღალი სამხედრო ჯილდო. სამხედრო სამსახურიდან იგი 1926 წლის დამლევს გადადგა, დაენიშნა რა პოლონეთის სამხედრო სამინისტროს სრული პენსია. ამის შემდეგ, 1938 წლამდე, გარდაცვალებამდე იგი ასრულებდა სამხედრო სამინისტროს ფეხოსანთა ნაწილების ინსტრუქტორის მოვალეობას.

1928 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შ. ბაქრაძე ირიცხებოდა ქართველთა პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაციის „თეთრი გიორგი“-ს დირექტორატის წევრად.

გარდაიცვალა იგი 1938 წლის 3 დეკემბერს 68 წლის ასაკში. განისვენებს ვარშავის მახლობლად რამდენიმე სხვა ჩვენი თანამემამულის გვერდით.

**ალექსანდრე კონიაშვილი (1878-1951)** ქართული ეროვნული არმიის გენერალი გახლდათ. დასრულებული ჰქონდა კლასიკური გიმნაზია და კადეტთა სამხედრო სასწავლებელი.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს ა. კონიაშვილი ირიცხებოდა ქვეითი ჯარის ოფიცრად. პირველი მსოფლიო ომის წლებში მიიღო რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ხარისხი და წმ. გიორგის ორდენი. ასრულებდა ფეხოსანთა დივიზიის უფროსის მოადგილის მოვალეობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იგი აქტიურად ჩაება ქართული ეროვნული არმიის შედგენის საქმეში, იყო ქართული ჯარის ერთ-ერთი პირველი გენერალი. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მეთაურობდა დივიზიას.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ალ. კონიაშვილი გაიხიზნა ჯერ თურქეთში, იქიდან კი პოლონეთში. მალე მანაც შ. ბაქრაძის მსგავსად პოლონეთის არმიის ბრიგადერის წოდება მიიღო და დაინიშნა ქვეითი ჯარის ერთ-ერთი დივიზიის მეთაურის მოადგილედ. იყო მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე.

პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ იგი გადადგა სამხედრო სამსახურიდან. ცხოვრობდა ჯერ იტალიაში, შემდეგ კი არგენტინაში.

პოლონეთის არმიაში თითქმის ოცწლიანი მოღვაწეობისათვის მიღებული ჰქონდა ქვეყნის რამდენიმე მაღალი სამხედრო ჯილდო.

ალექსანდრე კონიაშვილი გარდაიცვალა ბუენოს-აირესში 1951 წელს, 78 წლის ასაკში. დაკრძალულია იქვე.

გამოჩენილი მხედართმთავარი, თავისი გმირობითა და გამბედაობით პოლონეთის მთელს არმიაში ცნობილი პიროვნება იყო **გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე (1870-იანი წლების დამლევი — დაახლ. 1941 წლის ივნისი-ივლისი).**

იგი გახლდათ ქართული ეროვნული არმიის პოლკოვნიკი, 1920-1921 წლებში ქართული სამხედრო (იუნკერთა) სკოლის უფროსი. მან ქართველ იუნკერთა სკოლის მთელს შემადგენლობას 1921 წლის 18-20 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გმირთა სახელი დაუმკვიდრა.

1921 წლის მარტში ორ ვაჟთან და მეუღლესთან სოფიო კვინიტაძესთან (იგი გენერალ კვინიტაძის და იყო) ერთად ჯერ თურქეთში, იქიდან კი პოლონეთში გაიხიზნა.

ალ. ჩხეიძე დიდის პატივით იქნა მიღებული ვარშავაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის პირველ წლებში იგი, როგორც პოლონეთის ეროვნული არმიის გენერალი, მსხვილ შენაერთს მეთაურობდა. მან თავი გამოიჩინა, როგორც პოლონეთის თავისუფლების მედგარმა დამცველმა. რუსეთ-გერმანიის შეთანხმების თანახმად ქ. ლვოვის რუსეთისათვის დათმობის შემდეგაც, უკანასკნელ წუთამდე იცავდა გენერალი ჩხეიძე ქალაქს. აღსანიშნავია, რომ ლვოვის დამცველთა რიგებში იყო და 1939 წელს დაიღუპა მისი ერთი ვაჟი — ულანთა პოლკის როტმისტრი დავით ჩხეიძე (მასზე და მის ძმაზე, როტმისტრ გ. ჩხეიძეზე, რომელიც 1927 წელს დაიღუპა პოზნანის მახლობლად, ქვემოთ გვექნება საუბარი).

ლვოვის დაკავებისთანავე საბჭოთა სარდლობამ ტყვედ იგდო ქართველი გენერალი, რომელიც გერმანელთა შეტევის დროს უკანდახევისას გზაში გამოასალმეს სიცოცხლეს. გენერალ ჩხეიძის დაღუპვის ზუსტი დრო და ადგილი უცნობია.

ქართული ჯარის გენერალი იყო **ალექსანდრე ზაქარიაძე (1880-1957).** მას დასრულებული ჰქონდა სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელი. იყო რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. პირველი მსოფლიო ომის წლებში, როგორც რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, ასრულებდა მსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილის მოვალეობას. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ჯვრითა და რამდენიმე სხვა სამხედრო ჯილდოთი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, როგორც ქართული ჯარის გენერალი, სათავეში ედგა ეროვნული არმიის გენერალურ შტაბს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ალ. ზაქარიაძე დიდხანს მოღვაწეობდა პოლონეთში, სადაც დაასრულა პოლონეთის არმიის გენშტაბის უმაღლესი სამხედრო აკადემია. ამის შემდეგ (1924 წლიდან), საბჭოთა ჯარის მიერ პოლონეთის ოკუპაციამდე ირიცხებოდა გენერალური შტაბის პოლკოვნიკად. იყო ვარშავის დაცვის აქტიური მონაწილე.

ომის შემდეგ ალ. ზაქარიაძე საფრანგეთში დამკვიდრდა. ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. არჩეული გახლდათ ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“-ს დირექტორატის წევრად და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მის საქმიანობაში.

მიღებული ჰქონდა პოლონეთის რამდენიმე უმაღლესი სამხედრო ჯილდო, მათ შორის რამდენიმე უმაღლესი ჯვარი.

გარდაიცვალა ალ. ზაქარიაძე 1957 წელს, აბონდანის მოხუცთა სახლში. განისვენებს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

**ვალერიან (ვალიკო) თევზაძე (1893-1980-იანი წლების შუა ხანები)** გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს არმიის გენერალური შტაბის ერთ-ერთი თვალსაჩინო მუშაკი, ქართული ჯარის პოლკოვნიკი. დამთავრებული ჰქონდა ბათუმის გიმნაზია და სამხედრო სასწავლებელი.

პირველი მსოფლიო ომის წლებში მსახურობდა კავკასიის არმიის შემადგენლობაში — კაპიტნის ხარისხით მეთაურობდა ათასეულს. შემდეგ მსახურობდა ბათუმში გენერალ მდივნის შტაბში პრაპორშჩიკთა ათასეულის მეთაურად (საყურადღებოა, რომ ამ შენაერთის სამეურნეო ნაწილს განაგებდა რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკი, იმხანად უკვე ხანდაზმული ჩვენი სახელოვანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით კლდიაშვილი).

უკვე იმხანად ვ. თევზაძე ეკუთვნოდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიას და ითვლებოდა ხსენებული პარტიის სამხედრო საქმეთა კომისიის ერთ-ერთ ხელმძღვანელად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებიდან მცირე ხნის შემდეგ, 1918 წლის დამლევს ვ. თევზაძეს მიენიჭა ქართული ჯარის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და დაინიშნა ჯერ გენერალური შტაბის პირველი განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი სამხედრო დაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს კი იგი დაინიშნა საქართველოს ეროვნული არმიის მთავარსარდლის გენერალ გ. კვინიტაძის შტაბის ერთ-ერთ ხელმძღვანელად.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ვ. თევზაძე პოლონეთში გაიხიზნა, სადაც დაამთავრა გენშტაბის უმაღლესი სამხედრო აკადემია. შემდეგ მსახურობდა პოლონეთის არმიის ერთ-ერთი საარტილერიო დივიზიის შტაბის უფროსად.

მეორე მსოფლიო ომის წლებში პოლონეთის არმიის პოდპოლკოვნიკი, დივიზიის შტაბის უფროსი ვ. თევზაძე იყო ვარშავის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. აღსანიშნავია, რომ მისი დივიზიის საოპერაციო დარგს სათავეში ედგა პოლონეთის არმიის გენშტაბის კაპიტანი ვახტანგ აბაშიძე.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ვ. თევზაძე გადადგა სამხედრო სამსახურიდან და საფრანგეთში გადასახლდა, სადაც ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივსა და პუბლიცისტურ მოღვაწეობას.

ქართული ეროვნული ჯარისა და პოლონეთის ეროვნული არმიის მაიორი იყო **ბიძინა ქუთათელაძე (1895-1969).** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია-ოკუპაციამდე იგი იყო ქართველ ოფიცერთა (იუნკერთა) სამხედრო სასწავლებლის პედაგოგ-ინსტრუქტორი და იუნკერთა ასეულის მეთაური. იყო 1921 წ. რუსეთ-საქართველოს ომის, — კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლების აქტიური მონაწილე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბ. ქუთათელაძე ჯერ თურქეთში გადავიდა, შემდეგ კი პოლონეთში; 1923 წელს მან წარჩინებით დაასრულა პოლონეთის გენშტაბის სამხედრო აკადემია. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე მიიღო გენშტაბის მაიორის სამხედრო ხარისხი და დაინიშნა დივიზიის შტაბის საოპერაციო დარგის უფროსად. ამ თანამდებობაზე მოუსწრო მას მეორე მსოფლიო ომმა. იყო ვარშავის დაცვის აქტიური მონაწილე.

პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ ბ. ქუთათელაძე მსახურობდა დასავლეთის ფრონტზე, ინგლისის არმიის შემადგენლობაში. 50-იანი წლების დამდეგს გადადგა სამხედრო სამსახურიდან. მიღებული ჰქონდა ინგლისის არმიის კაპიტნის ხარისხი, პოლონეთისა და დიდი ბრიტანეთის არაერთი სამხედრო ჯილდო.

გადადგომის შემდეგ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლონდონში. გარდაიცვალა ბიძინა ქუთათელაძე 1969 წლის 5 მაისს, 74 წლის ასაკში. დაკრძალულია ლონდონის გარეუბანში.

თბილისის კადეტთა კორპუსის კურსდამთავრებული იყო **ირაკლი ყაზბეგი (1901-1985).** იგი 1919 წლიდან ირიცხებოდა საქართველოს ეროვნულ არმიაში, სადაც 1920 წელს მიიღო ოფიცრის წოდება. იყო რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის აქტიური მონაწილე.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჯერ თურქეთს მიაშურა, შემდეგ კი პოლონეთში გადავიდა, სადაც 1923 წელს დაამთავრა უმაღლესი სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელი. ი. ყაზბეგმა განვლო მხედრული გზა პოლონეთის არმიის ლეიტენანტობიდან კაპიტნობამდე. დაიმსახურა პოლონეთის რამდენიმე მაღალი სამხედრო ჯილდო.

1925 წლიდან ირაკლი ყაზბეგი იყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“-ს აქტიური წევრი.

გარდაიცვალა იგი 34 წლის ასაკში. განისვენებს პოზნანის გარეუბანში.

პოლონეთის არმიის ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი, კავალერიის პოდპოლკოვნიკი, პოლონეთის ეროვნული საცხენოსნო სპორტის ერთ-ერთი აღიარებული მოღვაწე და მოამაგე იყო **ვიტალი (ტალიკო) უგრეხელიძე (1901-1983).** იგი გახლდათ ყოფილი იუნკერი, ტაბახმელა-კოჯრის ბრძოლების აქტიური მონაწილე.

1921 წლის მარტიდან იმყოფებოდა პოლონეთში, სადაც სხვა იუნკრებთან ერთად მიიწვია მარშალმა პილსუდსკიმ. 1923 წელს ვ. უგრეხელიძემ დაამთავრა სამხედრო აკადემია და ახალგაზრდა ლეიტენანტი გაიგზავნა ფრონტზე ბოლშევიკ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. აქედან მოყოლებული, გარდა მხედრული მოღვაწეობისა, იგი იყო პოლონეთში საცხენოსნო-სადოღო სპორტის აღორძინების ერთ-ერთი უპირველესი სულისჩამდგმელი. მას ჰქონდა არა მარტო პოლონეთში, არამედ მთელს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო თავლა, რომლის ცხენებმაც 1920-40-იან წლებში არაერთი ოქროსა თუ ვერცხლის ჯილდო მოიპოვა საერთაშორისო შეჯიბრებებში. ვ. უგრეხელიძე პირადად იყო მთელს მსოფლიოში განთქმული არაბული ცხენის „ქაშმირი“-ს მეპატრონე. თავად ქართველი მხედარი მრავალ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრში გამარჯვებული, მსოფლიოში აღიარებული ცხენოსანი და მწვრთნელი გახლდათ.

მეორე მსოფლიო ომის დროს იგი პოლონეთის საკავალერიო ჯარის მე-7 კორპუსში შემავალი ცხენოსანი პოლკის მეთაური იყო. ომის დაწყებამდე მას კავალერიის პოდპოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.

1941 წელს ვ. უგრეხელიძე ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს. ორი წლის შემდეგ იგი პოლონეთის რეზისტანსის რიგებში ჩადგა. აქ იგი დაინიშნა მე-17 პოლკის მეთაურად. ასე გაგრძელდა 1944 წლამდე, — ვარშავის ამბოხებამდე.

1944 წელს მიღებულ იქნა ლონდონის დირექტივა, რომლის თანახმად ვ. უგრეხელიძის პოლკს კავშირი უნდა დაემყარებინა საბჭოთა ჯართან, რაზეც პოლკის მეთაურმა სასტიკი უარი განაცხადა, თუმცა იცოდა, რომ ამისათვის მკაცრი სასჯელი ელოდა. მაგრამ, როგორც ბრიტანეთის, ისე პოლონეთის არმიათა სარდლობამ გაითვალისწინეს მისი დიდი დამსახურება. ვიტალი უგრეხელიძე ჩაირიცხა გენერალ ანდერსის ბრიტანული არმიის ერთ-ერთი ქვედანაყოფის მეთაურად და გაიგზავნა იტალიაში. შემდეგ დაინიშნა ჰალიპოლის საჯავშნო შენაერთთა ინსტრუქტორად. პირადი მამაცობისა და დამსახურების ნიშნად გენერალმა ანდერსმა მის გვარს უგრეხელიძის ყოფილი საბრძოლო ზედსახელი — „უგორსკი“ მიუმატა.

გარდა პოლონეთის ეროვნული არმიის პოდპოლკოვნიკობისა, ვ. უგრეხელიძეს მინიჭებული ჰქონდა ბრიტანეთის არმიის მაიორის სამხედრო წოდება. გარდა ამისა, საბრძოლო-მხედრული დამსახურებისათვის მიღებული ჰქონდა პოლონეთის, ინგლისისა და იტალიის მაღალი სამხედრო ჯილდოები, მათ შორის დიდი ბრიტანეთის ორდენი „მილიტერ კრონი“ და „განთავისუფლების ჯვარი“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1950-იანი წლების დამდეგს იგი გადადგა სამხედრო სამსახურიდან. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლონდონში. გარდაიცვალა ვიტალი უგრეხელიძე 1983 წლის 15 იანვარს.

**ნიკოლოზ ვაჩნაძე (1887-1940)** იყო საქართველოს ეროვნული არმიის პოლკოვნიკი, ასპინძის მე-9 ბატალიონის მეთაური.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებამდე იგი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. იყო რუსეთის არმიის მაიორი. 1918-1921 წლებში მეთაურობდა დივიზიონსა და ბატალიონს.

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს მეთაურობდა ასპინძის მე-9 ბატალიონს, რომელიც გენერალ გიორგი მაზნიაშვილის არმიის შემადგენლობაში ირიცხებოდა. ნ. ვაჩნაძე იყო კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლებისა და 1921 წლის მარტში ქ. ბათუმის ოსმალო ასკერებისაგან განთავისუფლების აქტიური მონაწილე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ნ. ვაჩნაძე მოხვდა პოლონეთში. იყო პოლონეთის ეროვნული არმიის პოდპოლკოვნიკი და მოდლინის ცნობილი ციხე-სიმაგრის გარნიზონის უფროსი. მეორე მსოფლიო ომის წლებში დიდი იყო მისი დამსახურება პოლონეთის გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სახელი გაითქვა, როგორც ნიჭიერმა მეთაურმა და მამაცმა მებრძოლმა. ნიშანდობლივია, რომ გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, 1939 წლის დამლევს მას, როგორც გულად და უტეხ მებრძოლს, გერმანიის სარდლობამ დაუბრუნა ხმალ-ხანჯალი!

გარდაიცვალა ნ. ვაჩნაძე 1940 წელს ქ. ლუკენვალდის საავადმყოფოში. დაკრძალეს სამხედრო პატივით. მისი კუბო და საფლავი გვირგვინებით შეამკო გერმანელთა კომენდატურამ.

ქართული და პოლონეთის არმიების ცნობილი ოფიცერი გახლდათ **ალექსანდრე (სანდრო) კობიაშვილი (1892-1952).** გიმნაზიისა და სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე ჩაირიცხა ქართული რეგულარული ჯარის ჯერ კაპიტნად, შემდეგ კი მაიორად. იყო ბატალიონის მეთაურის მოადგილე, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის აქტიური მონაწილე.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ მცირე ხანს იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში, საიდანაც 1921 წლის დამლევს პოლონეთში გადავიდა. სამხედრო სასწავლებლის დასრულების შემდგომ ჩარიცხეს პოლონეთის არმიის უფროს ლეიტენანტად. განვლო მხედრული გზა მაიორობამდე. პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე, ბრიტანეთის არმიის შემადგენლობაში.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე თავი დაანება სამხედრო სამსახურს და საფრანგეთში დამკვიდრდა. ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

გარდაიცვალა სანდრო კობიაშვილი 1952 წელს, 60 წლის ასაკში. განისვენებს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

ყოფილი იუნკრები იყვნენ ცნობილი ქართველი მხედართმთავრის, ქართული სამხედრო სკოლის (იუნკერთა სკოლის) უფროსის, გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის ტყუპი ვაჟები — **გიორგი (გოგა) და დავით (დუდა) ჩხეიძეები.** აღსანიშნავია, რომ სწორედ ალ. ჩხეიძე ხელმძღვანელობდა სამხედრო სკოლის იუნკერთა ასეულისა და მეათე ათასეულის მიერ წარმოებულ ბრწყინვალე საბრძოლო ოპერაციას კოჯორ-ტაბახმელას მისადგომებთან (1921 წლის 18-20 თებერვალი).

**გიორგი ჩხეიძე (1902-1927)** ძმის მსგავსად ტაბახმელას ბრძოლების აქტიური მონაწილე გახლდათ. 1921 წელს მამასთან და ძმასთან ერთად იგი პოლონეთში გადავიდა. აქ 1923 წელს დაასრულა საკავალერიო სამხედრო სასწავლებელი. ამის შემდეგ იგი ჩაირიცხა პოლონეთის საკავალერიო ჯარში ჯერ ლეიტენანტად, ხოლო შემდეგ ულანთა მე-2 პოლკის როტმისტრად, რაც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს 23 წლის ყმაწვილისათვის.

დაიღუპა გ. ჩხეიძე 1927 წელს, 25 წლის ასაკში. განისვენებს ქ. პოზნანში.

**დავით ჩხეიძემაც (1902-1939)** საქართველოდან გახიზვნის შემდეგ 1923 წელს დაამთავრა ვარშავის საკავალერიო სასწავლებელი. იმავე წელს კავალერიის ლეიტენანტი მოქმედ არმიაში განამწესეს. 1926 წელს დაინიშნა ულანთა მე-6 პოლკის როტმისტრად. ითვლებოდა პოლონეთის საკავალერიო ჯარის ერთ-ერთ საუკეთესო ოფიცრად, ბრწყინვალე მხედრად. წარჩინებული სამსახურისათვის მიღებული ჰქონდა პოლონეთის რამდენიმე მაღალი საბრძოლო ჯილდო.

დაიღუპა დ. ჩხეიძე 1939 წელს, 37 წლის ასაკში. დაკრძალულია ქ. ლვოვში.

ყოფილი იუნკერი იყო **ივანე (ვანო) ბაქრაძეც (1901-1970)**, კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლების აქტიური მონაწილე.

პოლონეთში ემიგრირების შემდეგ, 1924 წელს, დაასრულა სამხედრო აკადემია და დაინიშნა ულანთა პოლკის როტმისტრად. მეორე მსოფლიო ომის წლებში პოლონეთის ეროვნული არმიის კაპიტანი ივ. ბაქრაძე გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ, საიდანაც მალე გაათავისუფლეს. მას, როგორც სამხედრო საქმეში დაოსტატებულ ოფიცერს, გერმანიის არმიაში მოქმედი ქართული ლეგიონის (მეთაური — გენ. შ. მაღლაკელიძე) შემადგენლობაში ჩარიცხვა შესთავაზეს და დანიშნეს ერთ-ერთი ათასეულის მეთაურად. მცირე ხნის შემდეგ მიიღო ობერლეიტენანტის სამხედრო წოდება.

ომის დასრულებისთანავე ვანო ბაქრაძემ თავი დაანება სამხედრო სამსახურს და საფრანგეთში დასახლდა. წლების მანძილზე ითვლებოდა საფრანგეთის ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრად. არჩეული იყო ყოფილ ქართველ იუნკერთა კავშირის წევრად.

გარდაიცვალა ივ. ბაქრაძე 1970 წლის 27 ივნისს. განისვენებს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

პოლონეთისა და ინგლისის არმიების ოფიცერი გახლდათ ყოფილი იუნკერი **ვლადიმერ (ლადო) ლალიძე (1900-1960).**

ვარშავის სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1924 წელს იგი ჩაირიცხა პოლონეთის არმიის არტილერიის ლეიტენანტად. განვლო გზა არტილერიის მაიორობამდე. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ იყო ერთ-ერთი საარტილერიო ათასეულის მეთაური.

პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე,

(დასასრული მე-8 გვ.).



# მირდატი

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ბაქარ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქართლის (იბერიის) ხელმწიფე გახდა მისი ძე მირდატი — „და დაჯდა ძე მისი მირდატ და მეფობდა სარწმუნოებასა შინა“. მირდატმა, ქართლის მესამე ქრისტიანმა ხელმწიფემ, მირიან მეფის ანდერძისამებრ ქრისტეს მცნებები გულში დაიმარხა და მთელი ცხოვრება ქრისტიანობის განმტკიცება-გაძლიერებისთვის იღვაწა. „და მან აღაშენა ეკლესია თუხარისისა ციხესა შინა; და ხევსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია. და მუნ დაადგინნა მღდელნი მოძღურად კლარჯეთს, და მატა შემკობა და შენება ერუშეთისა და წუნდისა ეკლესიათა“.

მემატიანე მოგვითხრობს, რომ მირდატის დროს „იწყეს ქართველთა სუეტისა ცხოველისაგან ნაწილისა გამოღებად და ქმნად ჯუარად, რამეთუ დიდნი სასწაულნი და კურნებანი იქმნებოდეს, სადაცა იყვის ნაწილი სუეტისა ცხოველისა“. მაგრამ მირდატ მეფე სასწაულთმოქმედი სვეტის ნაწილ-ნაწილ გამოღების ნებას არ იძლეოდა, „რამეთუ ებისკოპოსმან ჭეშმარიტმან იაკობ ეგრეთ ჯერ-იჩინა და თქუა: „მინიჭებულ არს უფლისაგან, ჯერ არს სუეტისა მის ღმრთივ-აღმართებულისა ქმნა სახედ ჯუარისა“. სასწაულთმოქმედი სვეტისაგან უნდა გაეკეთებინათ ერთი დიდი ჯვარი, თუმცა, სანამ ჯვარს დაამზადებდნენ, „განეფინა ყოველთა ადგილთა ქართლისათა ნაწილი სუეტისა ცხოველისა“, მაშინ მირდატ მეფემ „სუეტისაგანა შექმნა ჯუარი ზომიერი, და რომელი დარჩა სუეტისა მისგან ცხოველისა, მას გარეთ მოქნა ქვითკირითა და აღამაღლა ქვითკირი პირველ სუეტსა ოდნად, და თავსა მის სუეტისასა აღმართა ჯუარი იგი ძელი განმაცხოველებელი“.

მირდატის მეფობის შესახებ მატიანე მეტს არაფერს ამბობს. „და ყოველნი დღენი ცხორებისა მისისანი უშფოთველად აღასრულნა სარწმუნოებასა შინა დიდსა... და მოკუდა მირდატ მეფე და დაჯდა მეფედ ძე მისი ვარაზ-ბაქარ...“

მოამზადა
**ირაკლი ლომოურმა**

ნახატი **რევაზ ებრალიძისა**

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

**არაფორმალები და არაფორმალური ჯგუფი** — ეს გამოთქმა სოციოლოგიის მეცნიერების ლექსიკონიდან შევიდა პრესაში, ფართოდ გავრცელდა საზოგადოებაში და გარკვეული სპეციფიკური დატვირთვაც მიიღო: „ფორმალური“ თითქოს ბიუროკრატიულს ნიშნავს, ხოლო „არაფორმალური“ — რაიმე კანონსაწინააღმდეგოს. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ არც „ფორმალური“ და არც „არაფორმალური“ თავისთავად არ გულისხმობს არც კარგს და არც ცუდს.

საზოგადოების სტრუქტურა მოიცავს დიდ სოციალურ ჯგუფებს (მაგ. კლასები, ფენები...) და მცირე სოციალურ ჯგუფებს (შრომითი კოლექტივი, გუნდი...). გამოვტოვოთ დიდი სოციალური ჯგუფები და განვიხილოთ მხოლოდ მცირე სოციალური ჯგუფი. მცირე სოციალური ჯგუფი არის პირისპირ შეხვედრით ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში მყოფ პიროვნებათა ნებისმიერი რიცხვი, რომელთაც რაიმე შთაბეჭდილება აქვთ ერთმანეთზე. აი ამ მცირე სოციალურ ჯგუფებში განარჩევენ ფორმალურსა და არაფორმალურს. ფორმალურია ჯგუფი, რომელიც იურიდიულად გაფორმებულია, აქვს თავისი სტრუქტურა და ფუნქცია, რეგლამენტირებულია შესაბამისი დოკუმენტებით და შექმნილია რაიმე გარკვეული მიზნისათვის. ხოლო არაფორმალურია ჯგუფი, რომელსაც აქვს ჯგუფისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი (პიროვნებათშორისი ურთიერთობის ჩამოყალიბებული სისტემა, ერთობლივი მოქმედება, ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა), მაგრამ არა აქვს იურიდიულად ფიქსირებული სტატუსი.

ადამიანები ერთდროულად ორივე (ფორმალური და არაფორმალური) ჯგუფის წევრები შეიძლება იყვნენ. პრაქტიკულად ყველა ჩვენგანი უკვე ბავშვობის ასაკიდან არაფორმალური ჯგუფის წევრია. ასეთი ჯგუფია თანატოლთა, ამხანაგთა ჯგუფი და სხვ. იმდენად დიდია არაფორმალური ჯგუფის გავლენა პიროვნებაზე, რომ იგი ხშირად მძაფრ კონკურენციაშია ოჯახთან, სკოლასთან და სხვა ფორმალურ ჯგუფებთან. მაგალითად, მოზარდისთვის თანატოლთა ჯგუფი, რაიმე ინტერესების მიხედვით გაერთიანებული ჯგუფი ან სხვ. ხშირად იქცევა ე. წ. ეტალონურ ჯგუფად ანუ ადამიანთა ისეთ ერთობად, რომელთა ქცევის ნორმები, შეხედულებები და სხვა ეტალონურ, მისაბაძ მაგალითად იქცევა.

ფორმალური ჯგუფი ხშირად შეიძლება არ აკმაყოფილებდეს პიროვნებას თავისი დამოუკიდებლობის გამოვლენაში, რადგან ამგვარი ჯგუფის ფუნქციონირება რაიმე ინსტრუქციით, მითითებით ან გარედან შემოტანილი სხვა წესებით ხდება. პიროვნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ ბუნებრივი სწრაფვა არაფორმალურ ჯგუფში უფრო ადვილად რეალიზდება. ამგვარ ჯგუფებში შესვლით მას საშუალება ეძლევა თვითონ განახორციელოს თავისი მიზნები ამ ჯგუფში ან ამ ჯგუფის საშუალებით.

არაფორმალური ჯგუფის წევრისთვის მნიშვნელოვანია ამ ჯგუფში ემოციური კლიმატისა და სიმპათიების აღმძვრელი ლიდერის არსებობა. ჯგუფის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებთ აგრეთვე ურთიერთობებში თანასწორობის იდეა, რაც, როგორც წესი, ხშირად ირღვევა. არაფორმალურ ჯგუფებსაც აქვთ იერარქიული სტრუქტურა. ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფნი მაინც აქ უფრო უკეთ გრძნობენ თავს, ვიდრე ფორმალურ ჯგუფში. არაფორმალურ ჯგუფში ყოფნა მინიმუმ იმის საშუალებას აძლევს ინდივიდს, რომ თავისი ავტორიტეტი აიმაღლოს ამ თანამეგობრობის გარეთ.

არაფორმალურ ჯგუფს მნიშვნელოვანი ინ[illegible] ფუნქცია აქვს. აქ ხდება აზრთა ინტენსიური გაზიარება სხვადასხვა საკითხებზე, ეძებენ რჩევას, განიტვირთებიან და ერთობიან. თუ ფორმალურ ჯგუფში ინდივიდი პასიურად იღებს ინფორმაციას, არაფორმალურ ჯგუფში იგი არა მხოლოდ იღებს, არამედავრცელებს კიდეც მას, განსაკუთრებით ისეთს, რაც უადგილო და მიუღებელია ფორმალური ჯგუფისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაფორმალური ჯგუფები ჩვეულებრივ იქმნება როგორც ფორმალური ჯგუფების პრესტიჟის დეფიციტზე უკურეაქცია. იგი არ არის მაინცდამაინც ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ოფიციალურ ხელისუფლებას ებრძვის, როგორც ის ჩვენს ცნობიერებაში შემოვიდა ჩვენი ცხოვრებისეული პრაქტიკიდან.

ყოველივე ზემოთ თქმული რომ შევაჯამოთ, ზოგადად არაფორმალური არის არაოფიციალური, ზუსტი როლის არმქონე ჯგუფი, რომლის წევრთა შორის ურთიერთობები არ არის ფორმალიზებული. ამგვარი ჯგუფის წევრი იქნება არაფორმალი. არაფორმალური ჯგუფის ტიპური მაგალითია მაგ. მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც ვერის პარკში იკრიბება ფეხბურთზე სასაუბროდ; მათ წასვლა-მოსვლას არავინ არ აღრიცხავს, ნებისმიერია დისკუსიის თემა, ჯგუფის წევრთა რაოდენობა, ასაკი და ა. შ. ე. ი. არაფორმალური ჯგუფი არ არის მაინც და მაინც პოლიტიკური მიზნებით გაერთიანებული ჯგუფი, როგორც ეს ჩვენს ცნობიერებაში შემოვიდა ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკის საფუძველზე.

ტერმინოლოგიურ სიზუსტესაც აქვს მნიშვნელობა: ერთი და იგივე არ არის ფორმალური და ფორმალისტური, არაფორმალი და არაფორმალისტი.

# აუცილებელი განმარტება

**გაზეთ** „თავისუფალი საქართველოს“ ა. წ. 29 მარტის მე-10 ნომერში გამოქვეყნდა თამთა ცეცაძის მიერ მომზადებული პუბლიკაცია „მხოლოდ ფაქტები“...

აქ მართლაც ფაქტებითაა ყველაფერი შეჯერებული, მაგრამ დაშვებულია ერთი შეცდომა, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

გაზეთში აღნიშნულია, რომ ფეთქებადი საგნები სამხედრო ექსპერტიზის დასკვნით სამხედრო მრეწველობაშია დამზადებული. რაც თითქოს საინფორმაციო პროგრამა „ვრემია“-ში გამოსვლისას დაუდასტურებია გენერალ პატრიკეევს. ამასთან, მას თითქოს აღუნიშნავს, რომ საბრძოლო მასალების დანაკლისი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სხვადასხვა ნაწილებში არ არსებობს და სავარაუდოა, რომ ისინი შემოტანილი იყოს ამიერკავკასიის ფარგლებს გარედან.

სინამდვილეში კი ასე იყო:

პროგრამა „ვრემიას“ დიქტორმა წაიკითხა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის გენერალ პატრიკეევის დეპეშისა თუ წერილის ტექსტი, სადაც გენერალი ამტკიცებდა, რომ შემოწმების შედეგად სამხედრო ნაწილებში დანაკლისად არ აღმოჩნდა არავითარი საბრძოლო მასალა და ამდენად, გამორიცხულია სამხედროების მიერ რეაქტიული „ნურს“ ს-5 ტიპის 57 მილიმეტრიანი კალიბრის ჭურვების ვინმეზე გაცემა.

ყურადსაღებია, რომ ამ დროისთვის წინასწარ გამოძიებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული სამხედრო ექსპერტიზის დასკვნა.

ერთის თქმა შეგვიძლია, აღნიშნული რაკეტები შესაძლოა არ აღმოჩენილიყო რომელიმე სამხედრო ნაწილში დანაკლისად, მაგრამ ხომ არსებობს სხვა შესაძლებლობაც იარაღის გასხვისებისა. კერძოდ, რომელიმე სამხედრო ნაწილში სამხედრო მეცადინეობის დროს ჩამოიწერებოდა გარკვეული რაოდენობა „ნურსებისა“, ჩამოწერილი რაკეტები კი სულ იოლად მოხვდებოდა ოსი ექსტრემისტების ხელში. არც ისაა გამორიცხული, რომ „ნურსები“ რესპუბლიკებიდანაც ყოფილიყო შემოტანილი. ე. ი. სხვა სამხედრო ოლქებიდან, სადაც ჯერჯერობით არავის უწარმოებია „აღწერა“ დანაკლისის შესახებ.

ამრიგად, „ვრემიას“ დიქტორი მართალია, შეეცადა მაყურებელი დაერწმუნებინა, რომ არავითარი სამხედრო, საბრძოლო მასალა არ ყოფილა ოსების ხელში, მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, ყოველივე ეს სადღეისოდ უარყოფილია თვით სამხედრო ექსპერტიზის დასკვნით.

**გურამ ქარქაშაძე,**
**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე.**

# ქართველები ევროპის ჯარში

(დასასრული)

გენერალ ანდერსის ბრიტანული არმიის შემადგენლობაში.

როგორც ნიჭიერმა ოფიცერმა და მეთაურმა, დაიმსახურა პოლონეთისა და ინგლისის რამდენიმე სამხედრო ჯილდო.

სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, 1950-იანი წლების დამდეგიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლონდონში.

გარდაიცვალა ლადო ლაღიძე 1960 წელს. დაკრძალულია ლონდონის ერთ-ერთ გარეუბანში.

ყოფილი იუნკერი იყო **სიმონ (სიკო) კობიაშვილი (1901-1976)**, რომელმაც ემიგრირების შემდეგ 1923 წელს დაასრულა ათინის სამხედრო სასწავლებელი. პოლონეთში გადასვლის შემდეგ დაამთავრა სამხედრო აკადემია.

1927 წელს სიმ. კობიაშვილი ჩაირიცხა ქ. გრუდზიონზის საკავალერიო ათასეულის ასეულის მეთაურად და მიენიჭა კავალერიის უფ. ლეიტენანტის სამხედრო წოდება. 1929 წელს იგი გახდა გენერალ შაქრო ბაქრაძის სიძე. 30-იანი წლების დამდეგს ს. კობიაშვილი შევიდა და 1935 წელს დაამთავრა პოლონეთის გენშტაბის უმაღლესი სამხედრო აკადემია. იმავე წელს იგი დაინიშნა სახელგანთქმული პოლონელი მხედართმთავრის გენერალ გ. სკოტნიცკის ბრიგადის შტაბის უფროსის მოადგილედ და მიენიჭა გენშტაბის მაიორის ხარისხი.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე პოდპოლკოვნიკი სიმ. კობიაშვილი დააწინაურეს ხსენებული ბრიგადის შტაბის უფროსად.

1941 წელს იგი ტყვედ იგდეს გერმანელებმა. მცირე ხნის შემდეგ იგი გაათავისუფლეს და გერმანიის არმიის ოფიცრის წოდებით დანიშნეს ქართული ლეგიონის პირველი ათასეულის მეთაურად.

ომის დასრულებისთანავე სიმონ კობიაშვილი გადადგა სამხედრო სამსახურიდან და გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. წლების მანძილზე მას ირჩევდნენ ამერიკის ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრად. გარდა ამისა, ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში.

გარდაიცვალა სიმ. კობიაშვილი 1976 წელს. დაკრძალულია ნიუ-იორკის ერთ-ერთ სასაფლაოზე.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ყოფილი იუნკრების, პოლონეთის არმიის ცნობილი ოფიცრების ნ. მათიკაშვილისა და მ. კვალიაშვილის ცნობით (იხ. მათი ნაშრომი „იუნკრები“. ახლახან გამოცემული გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ), ქართული ეროვნული არმიის გენერალთა და უფროს ოფიცერთა შემადგენლობიდან პოლონეთის ეროვნულ არმიაში მაღალი სამხედრო წოდებებით მსახურობდნენ:

გენერლები — ალექსანდრე ჩხეიძე და ყაზბეგი;

პოლკოვნიკები — გველესიანი, მიქელაძე, ბაგრატიონი, კანდელაკი, კიკვიძე;

მაიორები — დ. ქუთათელაძე, კ. ტერიაშვილი, დიმ. შალიკაშვილი[1], ვლ. სიამაშვილი, გ. ფავლენიშვილი, არტ. აროშინიძე, ალ. ალავიძე, ალ. ყიფიანი, დ. მაჭავარიანი;

კაპიტნები — ლ. კვალიაშვილი, მ. კანდელაკი, დ. კლიმიაშვილი, ივ. ქავთარაძე, ჭყონია და სხვანი.

●

1. დიმიტრი შალიკაშვილი გახლდათ საქართველოს ეროვნული არმიის ოფიცერი, 1920-1921 წლებში შედიოდა ანგორაში (თურქეთი) საქართველოს მისიის შემადგენლობაში. შემდეგ გახლდათ პოლონეთის არმიის მაიორი. მეორე მსოფ. ომის შემდეგ აშშ-ში დასახლდა. მისი ორი ვაჟიდან უფროსი ოთარი აშშ-ის სამხ- საზღვ. ფლოტის გადამდგარი პოლკოვნიკია, უმცროსი მალხაზი (ჯონი) კი — აშშ-ის და ნატო-ს ჯარების სამვარსკვლავიანი გენერალი, სადესანტო ჯარების ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

გაგრძელება იქნება


გამოიწერეთ ყოველკვირეული გაზეთი

„თავისუფალი საქართველო“

ფასი: 1 თვით — 2 მან. 15 კაპ.
3 თვით — 6 მან. 45 კაპ.
6 თვით — 12 მან. 90 კაპ.
12 თვით — 25 მან. 80 კაპ.



რედაქტორი მარიკა აბაიშვილი
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14, ტელეფონი 98-31-57

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 29

ინდექსი 66421

ფასი 50 კაპ.